

შპს "თვალის კლინიკა" ფინანსური ანგარიშგება

2023წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	513 489	96 473
საგაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	297 446	1 351 885
მარაგები	5	82 132	102 785
მოკლევადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	6	0	0
ძირითადი საშუალებები	6	1 839 417	314 275
გრძელვადიანი აქტივები			
სულაქტივები		2 732 484	1 865 418

ვალდებულებები			
საგაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	195 565	230 902
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7	71 101	47 514
საგადასახადო ვალდებულებები	8	30 005	34 974
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	165 368	265 734
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	1 650 000	650 000
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულვალდებულებები		2 112 039	1 229 124

საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3 000	3 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		617 445	633 294
სულ საკუთარი კაპიტალი			
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		620 445	636 294

ლევანი ადგიშვილი (დირექტორი)
თეიმურაზი გვეტაძე (მთ. ბუღალტერი)

6 აპრილი 2024 წ.



შპს "თვალის კლინიკა" ფინანსური ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ამონაგები	10	1584246	1578521
თვითღირებულება	11	0	0
წინა პერიოდის მარაგის ნაშთის გასწორება	11		
საერთო მოგება		1584246	1578521
სხვა არასაფინანსო შემოსავალი	12	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	11	-848878	-648928
ცვეთა და ამორტიზაცია	11	-55048	-35204
საპროცენტო ხარჯი	11	-117137	-12655
იჯარის ხარჯი	11	-23353	-24773
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	11		
სხვა ხარჯი	11	-549091	-512 269
სულ საოპერაციო ხარჯები		-1 593 507	-1 233 829

საოპერაციო მოგება		-9261	344692
--------------------------	--	--------------	---------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
მარაგების გაუფასურება		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	12	-6 588	33 183
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		-15 849	377 875
მოგების გადასახადი		0	0
მოგება/(ზარალი)		-15 849	377 875

ლევან ადიფილი (დირექტორი)
თეიმურაზი გვეტაძე (მთ. ბუღალტერი)



შპს "თვალის კლინიკა" ფინანსური ანგარიშგება

ცვლილებები საკუთარ კაპიტალში

სხვასრული შემოსავალი / (ზარალი):	12/31/2023	12/31/2022
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	636 294	258 419
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-15 849	377 875
კაპიტალის ანგარიშგება პერიოდის ბოლოს	620 445	636 294

ლევან ადგიშვილი (დირექტორი)

თეიმურაზი გვეტაძე (მთ. ბუღალტერი)



შპს "თვალის კლინიკა" ფინანსური ანგარიშგება

კომპანიის დასახელება: შპს "თვალის კლინიკა"

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 412722317

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

დირექტორი: ლევანი ადღეიშვილი

დამფუძნებლები: 100% - ლევანი ადღეიშვილი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1: ზოგადი ინფორმაცია

შპს „თვალის კლინიკა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2016 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას სამედიცინო მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.ქუთაისი ბუხაიძე 4

კომპანიის ფაქტური მისამართია საქართველო, ქ.ქუთაისი ბუხაიძე 4;

შენიშვნა 2: ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის მიერ, პირველად მოხდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად.

კომპანიას გასულ პერიოდებში არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. შესაბამისად, საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადებულია 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

შპს "თვალის კლინიკა" ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით.

აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება.

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მიწის ნაკვეთი 0%

დაუმთავრებელი მშენებლობა 0%

მანქანა დანადგარები 20%

ტექნიკა და ელ. მოწყობილობები 20%

ავტო და მოწყობილობა 20%

სატრანსპორტო საშუალებები 20%

შპს "თვალის კლინიკა" ფინანსური ანგარიშგება

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება "საშვალო შენონილი მეთოდით".

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეედარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეედარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება.

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზარდება იმ თანხაზე მეტად,

შპს "თვალის კლინიკა" ფინანსური ანგარიშგება

რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არა დისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არა დისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსოს ხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშ სწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინაპერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

შპს "თვალის კლინიკა" ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	12/31/2023	12/31/2022
ნაღდი ფული სალაროში	18 669	5 759
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	494 820	90 714
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	0
სულ	513 489	96 473

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	297 446	543 885
გადახდილი ავანსები	0	808 000
ავანსების დღგ	0	0
საპენსიო დანაშოგი	-	-
სულ	297 446	1 351 885

შენიშვნა 5

მარაგები

	12/31/2023	12/31/2022
ნედლეული და მასალები	82 132	102 785
საწვავი	0	0
სულ	82 132	102 785

შპს "თვალის კლინიკა" ფინანსური ანგარიშგება

შენიშვნა 6

ძირითადი საშუალებები

	მიწისნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა და დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტობუსები და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ნაშთი: 2023 წლის 1 იანვარი	0	0	12 191	189 585	9 429	22 810	121 533	355 548
შემოსულები	808 000	744 491	590	30 186	3 064	575	0	1 586 906
გადაფასება								0
გასხვისება, ჩამოწერა							-7 831	-7 831
ნაშთი: 2023 წლის 31 დეკემბერი	808 000	744 491	12 782	219 771	12 493	23 385	113 702	1 934 623
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								0
ნაშთი: 2023 წლის 1 იანვარი	0	0	2 030	13 324	2 396	10 207	13 317	41 273
დარიცხვა წლის განმავლობაში	0	0	1 194	34 293	2 190	5 898	11 474	55 048
გასხვისება და ჩამოწერა		0					-1 116	-1 116
ნაშთი: 2023 წლის 31 დეკემბერი	0	0	3 223	47 617	4 586	16 105	23 675	95 206
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2023 წლის 1 იანვარი	0	0	10 162	176 261	7 033	12 603	108 217	314 275
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2023 წლის 31 დეკემბერი	808 000	744 491	9 558	172 153	7 907	7 280	90 027	1 839 418

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი

ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო ვალდებულებები	195 565	230 902
მიღებული ავანსები	0	0
გადასახდელი ხელფასები	71 101	47 514
სულ	266 666	278 416

შპს "თვალის კლინიკა" ფინანსური ანგარიშგება

შენიშვნა 8

საგადასახადო ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
სხვა გადასახადი	28 300	33 935
დღგ	0	0
ქონების გადასახადი	1 705	1 039
სულ	30 005	34 974

შენიშვნა 9

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
ვალდებულება სანამოს პერსონალის წინაშე	0	0
მოკლევადიანი სესხი	157 322	265 734
გრძელვადიანი სესხი	1 650 000	650 000
გადასახდელი პროცენტი	8 046	0
სულ სესხები	1 815 368	915 734

შენიშვნა 10

ამონაგები

	12/31/2023	12/31/2022
რეალიზაცია	0	0
უსასყიდლო რეალიზაცია	0	0
მომსახურება	1 584 246	1 578 521
სულ	1 584 246	1 578 521

შენიშვნა 11

სხვახარჯები

	12/31/2023	12/31/2022
თვითღირებულება	0	0
შრომის ანაზღაურება	-848 878	-648 928
იჯარის ხარჯი	-23 353	-24 773
რეკლამის ხარჯი	-18 164	-11 754
რემონტის/შეკეთების ხარჯები	-31 397	-6 807
კომუნალური გადასახადები	-18 636	-12 930
საპროცენტო ხარჯები	-117 137	-12 655
ცვეთა და ამორტიზაცია	-55 048	-35 204
სხვა ხარჯები	-480 894	-480 779
სულ	-1 593 506	-1 233 829

შპს "თვალის კლინიკა" ფინანსური ანგარიშგება

შენიშვნა 12

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	12/31/2023	12/31/2022
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	7 403	47 174
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	29 934	1 069
სულ	37 336	48 243

შენიშვნა 12

სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	12/31/2023	12/31/2022
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	7 397	6 730
უარყოფითი საკურსო სხვაობები	13 991	13 991
სულ	21 388	20 721

შენიშვნა 15

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

მფლობელებს შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:	12/31/2023	12/31/2022
ლევან აფიშვილი	100%	100%

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებული იქნა ხელმძღვანელობის მიერ
2024 წლის 1 სექტემბერს.